

ყოველკვირეული განახლება
მთავარი ეკონომისტისგან




თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული
განახლება
მთავარი ეკონომისტისგან
25.10.2021

www.tbccapital.ge


წინა კვირაში ფასების სხვადასხვა ინდექსი გამოქვეყნდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ნორმალიზებასთან ერთად, მცირედით იკლო იმპორტის ფასების ზრდამ, ექსპორტის ფასების მატება უცვლელი დარჩა, სამშენებლო მასალების ინფლაცია კი კვლავ შემცირდა. აღნიშნული, ფასების რეკორდულად მაღალი ზრდის დინამიკის ცვლილებაზე მიუთითებს, თუმცა საპირისპიროდ, სექტემბერში სამრეწველო პროდუქციის გაძვირების ტემპმა მოიმატა. არადა, ეს მაჩვენებელი ხშირად სამომხმარებლო ფასების ცვლილების წინმსწრები ინდიკატორია. მთლიანობაში, [ინფლაციის ჩვენი წინა პროგნოზის](#) მატერიალურად გადასახედად, მხოლოდ ეს არგუმენტი მაინც საკმარისი არ უნდა იყოს.

ფასების ინდექსები, წ/წ, %



წყარო: საქსტატი


სესხების ზრდა ვალუტების მიხედვით და ლარის REER (%)



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი


სექტემბრის საბანკო დაკრედიტება კვლავ ძლიერი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია კორპორატიულ სექტორში აქტივობის მატება, რაც ეკონომიკის მაღალი ზრდის გამო, ძირითადად მარაგების შევსებით იყო განპირობებული. მოთხოვნა ასევე ძლიერი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით. საცალო სესხების მხრივ, სამომხმარებლო სესხების ზრდის ნორმალიზების მოლოდინები ჯერჯერობით ნაადრევი აღმოჩნდა და სექტემბერი კვლავ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩა, ხოლო იპოთეკური დაკრედიტება მოლოდინებთან შესაბამისი იყო, სადაც წლიურმა მატებამ მცირედით იკლო, თუმცა მხოლოდ წინა წლის სექტემბრის მაღალი საბაზო ეფექტის გამო. სესხების სავალუტო კომპოზიციის კუთხით, აღსანიშნავია, რომ ლარის წილმა წინა თვეებთან შედარებით მცირედით მოიმატა.

სესხების ზრდა სეგმენტების მიხედვით (წ/წ, გასვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, %)



წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი

საცალო სესხების ზრდა სეგმენტების მიხედვით (წ/წ, გასვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, %)



წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი


წინა კვირაში ასევე გამოქვეყნდა სექტემბრის საგარეო ვაჭრობის დეტალური მაჩვენებლები, სადაც პროდუქტთა ჩამონათვალში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნებოდა. ამასთან, ქვეყნების მხრივ აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ექსპორტმა მნიშვნელოვნად იმატა და ხვედრითი წილი ევროკავშირზე უფრო მაღალი იყო. ასევე, ევროკავშირის წილი იმპორტში პირველ ადგილზე შენარჩუნდა. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში, საერთო აღქმის საპირისპიროდ, იმპორტში თურქეთის წილი სტაბილურია, ხოლო ექსპორტში მზარდი.




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი




წყარო: საქსტატი




წყარო: საქსტატი

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ წინა კვირაში, თურქეთის ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებისა და ელჩებთან დაკავშირებული განცხადების შედეგად, ლირა დამატებით დასუსტდა და აშშ დოლართან მიმართებაში ისტორიულად ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვინარჩუნებთ [წინა შეფასებას](#), რომ არ არის აუცილებელი ლირის გაუფასურებას ლარის გაუფასურება მოჰყვეს. სამომავლო პროგნოზისათვის, დამატებით ორ ილუსტრაციას წარმოვადგენთ. საკუთრივ, მაშინ როდესაც ლარი ლირის მიმართ მყარდებოდა ლარის ყველა სხვა სავაჭრო პარტნიორის საშუალო გაცვლით კურსზე უფრო მეტად, როგორც ეს სადღეისოდ ფიქსირდება, თურქეთის წილი იმპორტში დაახლოებით ცხრა თვიანი დროითი ჩამორჩენით იზრდებოდა, თუმცა ამას ჯამურ იმპორტზე რამდენადმე მაინც მატერიალური ზეგავლენა არ ჰქონია. ეს მიუთითებს, რომ თურქული იმპორტი ძირითადად კონკურენციას სხვა იმპორტს უწევს, და არა - ადგილობრივ მწარმოებლებს. არადა, ამ მხრივ ლირის ლართან კავშირი მხოლოდ ჯამური იმპორტის დინამიკიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, თურქეთში ექსპორტსა და გაცვლით კურს შორის თუნდაც რაიმე კორელაცია საერთოდ არ იკვეთება. აღნიშნულ საკითხს და ზოგადად საქართველოში [გაცვლითი კურსის ზეგავლენას ზრდასა](#) და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე უფრო ვრცლად ჩვენს სამომავლო, თემატურ პუბლიკაციაში მიმოვიხილავთ.

იპორტი თურქეთიდან და ლარის ლირისადმი გამყარება (€/€, %)



მთლიანი იპორტი მშპ-სთან და ლარის ლირისადმი გამყარება (€/€, %)



მიმდინარე კვირის ანონსი:

- 25 ოქტ – სესხებისა და დეპოზიტების დეტალური სტატისტიკა, 2021 წლის სექტემბერი;
- 29 ოქტ – ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2021 წლის სექტემბერი;



თიბისი კაპიტალი

